2016 წლის 8 დეკემბერს რექტორების მიერ ხელი მოეწერა ურთიერთ–თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კიოლნის (გერმანია) გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტებს (TH Köln – University of Applied Sciences) შორის. მემორანდუმების ხელმოწერის პროცესს წინ უძღოდა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებისა (ო. მურჯიკნელი) და სტუ–ს არქიტექტურის ფაკულტეტის პროგრამების კურატორის (გ. მიქიაშვილი) მიერ ერთობლივად განხორციელებული მოსამზადებელი პროცესი კიოლნის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დირექტორთან პროფესორ იოჰენ ზიგემუნდთან (Jochen Siegemund). ამ მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია ორი უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურის ფაკულტეტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, ერთობლივი ვორქშოფებისა და სემინარების, ლექციების ორგანიზება, აგრეთვე სტუდენტური გაცვლითი პროგრამების ამოქმედება.

2016 წლის 1–დან 4 ნოემბრამდე ჩვენს ფაკულტეტს ეწვია ესტონელ კოლეგათა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ტარტუს საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლები ქალბატონები კაიდი –კერლი კერნერი (Kaidi-kerli Karner) , კაროლი კოივი (Karoli Koiv) და ამავეუნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის პროგარმის პროფესორი ბატონი ფრიდრიხ კულმანი (Friedrich Kuhlmann).

ბატონი კულმანი ორი დღის განმავლობაში ჩვენსპროფესორ–მასწავლებლებს და სტუდენტებს უზიარებდა იმ ევროპულ გამოცდილებას, რითაც ტალინის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი გამოირჩევა სხვა ევროპულ ქვეყნებს შორის. ბატონმა კულმანმა წაიკითხა რამდენიმე ლექცია, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ლანდშაფტების შეფასების ორიგინალურ მეთოდიკაზე, რომლის მიხედვით კულტურული ლანდშაფტი მრავალ განსხვავებულ კულტურულ შრეს აერთიანებს, რაც გვაძლევს იმის უფლებას, რომ ის განვიხილოთ როგორც კულტურული სისტემა. ეს მეთოდიკა ლანდშაფტს განიხილავს როგორც 4 ტიპის სუბ–ლანდშაფტური შრისაგან შექმნილ სისტემას და რომელიც ქმნის ერთიან სურათს.

ლანდშაფტის ამ შრეების აღქმა ყოველთვის შედგება ინფორმაციისგან, ტექსტისგან, დიზაინისაგან, გამოსახულებებისაგან და ა.შ., რადგან ისინი აღწერენ ურთიერთობებს, რომელიც ყალიბდება ადამიანებსა და კონკრეტულ ადგილს შორის.

აღნიშნულმა მიდგომამ ჩვენი პედაგოგების და სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია, რისი დასტურიც იყო პროფესორ კულმანის მოხსენებების დროს სავსე აუდიტორიები, რაც გვიან საღამომდე გრძელდებოდა. აღნიშნული მოვლენები ფართოდ

გაშუქდა მედიაში დაინფორმაცია ტელევიზიით იქნა მიწოდებული ფართო საზოგადოებისათვის.

2016 წლის 13 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზ „უნივერსში“ გაიხსნა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტის სტუდენტთა სახვითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა. არქიტექტორმა–სტუდენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მე–20 საუკუნის უდიდესი არქიტექტორის შარლ ლე კორბუზიეს მიერ გამოთქმული ცნობილი ჭეშმარიტება– არქიტექტორი უნდა იყოს მხატვარი, პოეტი და ხელთუქმნელი ინჟინერი. გამოფენამ სტუდენტთა და პედაგოგთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

2016 წლის 13 ივნისს სტუ–ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ვესტიბიულში გაიხსნა სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სტუ–ის და გერმანელი სტუდენტების მიერ 1998–2002 წლებში ავლაბრის უბნის ქალაქგეგმარებითი განვითარების საპროექტო წინადადებები. გამოფენის გახსნას დაესწრნენ სტუ–ის არქიტეტქურისა და ურბანისტიკის დეპარტამენტის პროფესორ–მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ აღნიშნული პროექტის განხორციელებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე სხვადასხვა არქიტექტურული სკოლის სტუდენტები, რომლებიც მიმდინარე წელს მონაწილეობენ „რეალური ლაბორატორია ავლაბარი“–ს მიერ ორგანიზებულ კოოპერაციულ პროექტში. მისი ორგანიზატორები არიან ილიაუნი, ბრაუნშვაიგის ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი განვითარების ინსტიტუტი, ასევე ქალაქმგეგმარებლები ზურაბ ბაქრაძე და ფრაუკე ბურგდორფი. იგი დღესდღეობით ფინანსდება გერმანიის აკადემიური გაცვლა-გამოცვლის სამსახურის (DAAD) სახსრებით და მხარდაჭერილია ფრიდრიხ ებერთის ფონდის და თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მიერ.

2016 წლის 4 ივნისს ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩატარდა თსსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტთა ტრადიციული ყოველწლიური ერთობლივი სტუდენტური კლაუზურა–კონკურსი, რომლის თემა გახლდათ „თბილისური სახლი“. კონკურსში 17 აკადემიისდა 15 სტუ–ს არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. 6 ივნისს გაიმართა გამარჯვებულთა დაჯილდოება. სტუ–ს სტუდენტთაგან პირველი პრემია წილად ხვდა მე–3 კურსის სტუდენტს ანა ლობჟანიძეს, მეორე პრემია დაიმსახურა მეოთხე კურსის სტუდენტმა ნიკიტა მჭედლიშვილმა, ხოლო მესამეპრემია – პირველი კურსის სტუდენტმა სოსო

ჩხაიძემ. ამის გარდა გამოვლინდა 3 ნამუშევარი, რომელთა ავტორებს შმაგი აფაქიძეს, ზურაბ ფანცულაიას და გიორგიცუცქირიძეს მიენიჭათ წამახალისებელი პრემიები. გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადიჯილდოები, აგრეთვე პროფესიული არქიტექტურული ჟურნალები. ჟიურის წევრმა აკადემიკოსმა გიგა ბათიაშვილმა საკუთარი წიგნი სამახსოვროდ გადასცა ანა ლობჟანიძეს და სოსოჩ ხაიძეს.








თბილისური
სახლი


თბილისური
სახლი

2016 წლის 9–დან 14 მაისამდე სტუ–ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ დანიის ქალაქ კოპენჰაგენის ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემიის არქიტექტურის, დიზაინის და კონსერვაციის სკოლის წარმომადგენლები ასოცირებული პროფესორები დაგ პატერსონი (Dag Patersson) და ნილს გრონბეკი (Niels Gronbaek). მათი მიზანი გახლდათ სტუ–ის არქიტექტურის ფაკულტეტთან თანამშრომლობ ასტუდენტთათვის ერთობლივი ვორქშოფების მოწყობის მიზნით. სტუმრები გაეცნენ თბილისის და მცხეთის არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობებს, აგრეთვე არქიტექტურის ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესს. გადაწყდა 2016 წლის ოქტომბერში ქართველი და დანიელი სტუდენტების მონაწილეობით ერთობლივი კვლევების ჩატარება თბილისის არქიტექტურის პრობლემებთან დაკავშირებით.

05/06/2016 Rethink -ისპროექტისაქართველოსტექნიკურუნივერსიტეტში საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი, მონაწილეობასიღებს TEMPUS-ის RETHINK-ის

(Reform of Education Thru International Knowledge exchange) პროექტში, რომელიციითვალისწინებსურბანისტიკასადაარქიტექტურისსადოქტოროინგლისურენ ოვანიპროგრამებისშემუშავებას ორმაგიდიპლომებისგაცემისშესაძლებლობით, გაძლიერებულიგარემოსდაცვისკომპეტენციებით.
აღნიშნულიბლოგიემსახურებაპროგრამისშესახებდეტალურიინფორმაციისგასაჯარო ებასდააგრეთვეპროგრამასთანდაკავშირებულიაქტივობებისგაშუქებას.
პროექტისმიზანიაევროკავშირისპარტნიორქვეყნებშიუმაღლესიგანათლების, მეცნიერების ხარისხისამაღლება, ევროკავშირისსივრცეშიინტეგრაცია, განათლებისადამეცნიერებისმდგრადიგანვითარება.
ამმიმართულებით RETHINK-ისპროექტიისახავსშემდეგაქტივობებსადაამოცანებს

- ქართველიპედაგოგებისკვალიფიკაციისამაღლება
- სასწავლოპროცესისმეთოდურიმხარდაჭერა
- ხარისხისშეფასებისევროპულისისტემისინტენსიურიგამოყენება
- საერთაშორისოსაგანმანათლებლოსივრცისშექმნა
- პილოტური, ონლაინსასწავლოპროცესისდანერგვა
- ხარისხისკონტროლი
- პროექტისშედეგებისგასაჯაროებადაინფორმაციისგავრცელება
- პროექტისშედეგებისშემდგომიგანვითარებისუზრუნველყოფა
- პროექტისმენეჯმენტი

ოფიციალურისაჯაროშეხვედრა RETHINK-ისპროექტთანდაკავშირებითიგეგმებასექტემბრის თვეში, თარიღი დაზუსტდება.
ინფორმაცია RETHINKისპროექტსადა მასთანდაკავშირებულსაკითხებზე შეგიძლიათმოიძიოთშემდეგ საიტსა http://rethink.fa.ulisboa.pt/index.php/general-info/tempus-objectives
დაბმულებზე
http://rethink.fa.ulisboa.pt/index.php/general-info/tempus-objectives
http://erasmusplus.org.ge/ge/publications
http://erasmusplus.org.ge/files/publications/Guide%20Joint%20Degree%20-%20ge.pdf
http://erasmusplus.org.ge/files/publications/Doctoral%20Education%20in%20Georgia%20-%20ge.pdf
http://erasmusplus.org.ge/files/publications/PhD%20Quality%20Enhancement%20ge.pdf

2016 წლის 21 აპრილს სტუ–ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა საფრანგეთის ქალაქ ვერსალის ლანდშაფტის უმაღლესი ნაციონალური სკოლის პროფესორის, მსოფლიოში ცნობილი ურბანისტის ალფრედ პეტერის პრეზენტაცია. პროფესორი პეტერი, რომელიც ამჟამად ჩართულია თბილისის მიწათსარგებლობის გეგმის დამუშავების სამუშაოებში, ფაკულტეტის სტუდენტებს და პედაგოგებს ესაუბრა მის მიერ ბოლო პერიოდში მსოფლიოში განხორციელებულ პროექტებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია სტრასბურგის, დიდი პარიზის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, აგრეთვე ნიუ–იორკის მანჰეტენზე 42–ექუჩის და თაიმ სქვეარ–ის რეკონსტრუქციის კონკურსში გამარჯვება.

პრეზენტაციის შემდეგ პროფესორმა პეტერმა უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის მიწათსარგებლობის გეგმის კონკურსში გამარჯვებული გუნდის წევრები, ასევე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები.

გრაფიკულიდაზაინისკონკურსი

2016 წლის 27 თებერვლიდან 6 აპრილის ჩათვლით საქართველოს დედაქალაქში ჩატარდა "ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თბილისის III საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი". უკვე ტრადიციად იქცა, რომ ამ ფესტივალის ორგანიზებაში ჩართულნი არიან სტუ–სარქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, გარემოს დიზაინის მოდულის პედაგოგებიც, რომელთ აინიციატივითაც გამოცხადდა კონკურსი ფესტივალისთვის აფიშის, ბანერის და მოსაწვევის შესრულებაზე. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ ფაკულტეტის II კურსელის ტუდენტები. ა.წ. თებერვალში სპეციალურმა ჟიურიმ ფესტივალის ორგანიზატორებთან ერთად გამოავლინა საუკეთესო ნამუშევრები. სამივე ნომინაციაში გაიმარჯვა თამარ თავაძის (ჯგ.№6401) გრაფიკულმა ნამუშევრებმა. გამარჯვებულ კონკურსანტს ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ნატალია დიღმელაშვილმა საზეიმო ვითარებაში გადასცა გამარჯვებულის სიგელი და ფესტივალის ლოგოთი დამშვენებული სპეციალურად დამზადებული პრიზი და საჩუქრები. ამასთან, გამარჯვებული აფიშა დაიბეჭდა და განთავსდა ქალაქის სივრცეში, ბანერმა და ამშვენა ფესტივალის ჩატარებისთვის

განკუთვნილი დარბაზის სცენა, ხოლო მოსაწვევები დამზადდა და დაურიგდათ სტუმრებს.

03/23/2016 [**<u>არტ ინსტალაცია - ინკლუზიური არქიტექტურის მუდმივი ნიშა გრემში</u>**]

პოლონეთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროგრამის „პოლონეთის კულტურის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ პრომესა 2016“ ფარგლებში მიმდინარე წლის 17 მარტიდან 22 მარტის ჩათვლითსაქართველოში, გრემში ჩტარდა არქიტექტურული ვორქშოფი „So easy/Young europen design“,

ვორქშოფის თემა იყო სივრცული პროექტის განხორციელება - არტინსტალაცია, როგორც ინკლუზიური არქიტექტურის მუდმივი ნიშა გრემში, საქველმოქმედო კავშირ „თემში“, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთად, ერთ ოჯახად ცხოვრობენ უსახლკარონი, მოხუცები, მარტოხელა დედები.

ვორქშოფის მიზანი იყო შეზღუდული შესაძლობლების მქონე პირთა ჩართულობის პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი სივრცის დაპროექტება და აშენება პოლონელ არქიტექტორებთან, სტუ-სარქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებთან და კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას მოკლებულ ადამიანებთან (ხანდაზმულები, ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები) ერთად.

22 მარტს, ვორქშოფის დასრულების შემდგომ თბილისში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა კონფერენცია, მოხსენებებით გამოვიდნენ როგორც პოლონელი არქიტექტორები ისე ფაკულტეტის პროფესორ - მესწავლებები. ასევე წარმოდგენილი იყოვორქშოფის შედეგები. პოლონელმა არქიტექტორებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება საზოგადოებრივ სივრცის დაპროექტების თავისებურებაზე „დიზაინის ფილოსოფიის“ გამოყენებით, რომლის ბენეფიციარებიც იქნებიან კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას მოკლებული ადამიანები: ხანდაზმულები, ბავშვებიდაშეზღუდულიშესაძლებლობებისმქონეპირები.

ვორქშოფშიმონაწილეობამიიღესსტუ - სარქიტექტურის, ურბანისტიკისდადიზაინისფაკულტეტისმესამედამეოთხეკურსისსტუდენტებმა: ანამეფარიშვილი, თამარჯუგაშვილი, ლევანქართველიშვილი, თორნიკეფოცხვერაშვილი. ხელმძღვანელინინოიმნაძე. ვორქშოფისდასრულებისშემდგომსტუდენტებსგადაეცათსეთიფიკატები.

http://presa.ge/new/?m=society&AID=43378

http://droni.ge/?m=3&AID=25373

http://people.ge/?m=13&ID=4063 http://itv.ge/?m=16&CID=39812

Ministry of
Culture
and National
Heritage of
the Republic
of Poland

03/14/2016 [ღია სტუდენტური კონკურსი დაბა მესტიაში ორი ჰიდროელექტროსადგურის არქიტექტურული პროექტის შერჩევისათვის]

2016 წლის 14 მარტს საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისარქიტექტურის, ურბანისტიკისდადიზაინისფაკულტეტზეგაიმართასვანეთის, კერძოდ მესტია ჭალას ჰიდროენერგოკასკადის არქიტექტურული დიზაინის შექმნასთან დაკავშირებით გამოცხადებული სტუდენტური არქიტეტქურული კონკურსის პრეზენტაცია.

კონკურსის ორგანიზატორები არიან საქართველოს განახლებადი ენერგიების კომპანია, ავსტრიული კომპანია “RP GLOBAL Austria GmbH”. ამ კომპანიის წარმომადგენლებმა, ზურაბ გორდეზიანმა, ფრანც მადერმა (Franz Mader) და ლუკას ვაისენშტაინერმა (Lukas Weissensteiner) დამსწრე საზოგადოებას გააცნეს საკონკურსო პირობები, ხოლო შემდგომ უპასუხეს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს. საკონკურსო მასალების წარდგენის ვადა მიმდინარე წლის 16 მაისია. იდეის ორიგინალობიდან და კონკურსის საპრიზო ფონდის სოლიდურობიდან გამომდინარე აღნიშნულმა შეხვედრამ სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.



02/19/2016 ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობასა და სტუ–ი სარქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის "გარემოს დიზაინი"–ს მოდულის პედაგოგებს შორის თანამშრომლობის შედეგად დაიგეგმა და განხორციელდა სტუდენტური კონკურსი თემაზე: საბურთალოს რაონში, ნუცუბიძის და ს. ზაქარიაძის ქუჩებს შორის არსებული ტერიტორიის დიზაინ–პროექტი. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის III და IV კურსის სტუდენტები. წარმოდგენილი ნამუშევრებიდან გალერეა "უნივერსში" განსათავსებლად გადარჩეული ქნა 22 ესკიზური პროექტის

დასრულებული ვარიანტი. გამოფენა გაიმართა 2016 წლის 11 თებერვალს, სადაც მოხდა გამარჯვებული პროექტების გამოვლენა. პირველი ადგილი დაიკავა გვანცა ცქიფურიშვილის პროექტმა, მეორეადგილი – ნუცა დემეტრაშვილისა და ლინდა დევაძის ერთობლივმა პროექტმა, ხოლო მესამე ადგილი – ზურა გაფრინდაშვილის პროექტმა. ასევე წამახალისებელი პრიზებით აღინიშნა გიორგილეჟავას, მესხიშვილი ნიკას და დემეტრაშვილი თინათინისა და გიორგი ზარნიძის პროექტები. 2016 წლის 19 თებერვალს, საბურთალოს რაიონის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში, საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ გამგეობისა და სტუ-ს ერთობლივ კონკურსში მონაწილე და გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვა. ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელები, გამარჯვებულებს ასევე 500, 250 და 100 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები და წამახალისებელი პრიზები. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ პირველა დგილზე გასულ პროექტს საბურთალოს რაიონის გამგეობა მიმდინარე წელს რეალურად განახორციელებს.

2016 წლის 13 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველო სტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული თემატური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თბილისის ისტორიული უბნების განვითარების პრობლემებს. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა არქიტექტურული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც პროფესიული ხედვა, კონკრეტული მოსაზრებები გააცნეს საზოგადოებას.

2016 წლის 11 თებერვალს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის ხელშეწყობით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და არქიტექტურულ, სამშენებლო კომპანიებთან, ასევე რეგიონალურ/ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება სტუდენტების საპროექტო პრაქტიკა.

ღონისძიება მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პროფესიული და პრაქტიკული
უნარ–ჩვევების ჩამოყლიბების ხელშეწყობას.
საპროექტო პრაქტიკა მოიცავს ზამთრის და ზაფხულის ეტაპებს, სადაც 2015 წელს მონაწილეობა მიიღო სულ 110 სტუდენტმა.

ასევე იგეგმება, საპროექტო პრაქტიკა 2016 წლისზამთრისეტაპზე, საპროექტო პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 115 სტუდენტი.

01/26/2016 სტუ–სარქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის ორგანიზებით, 2016 წლის 26 იანვრიდან 2016 წლის 26 ივლისის ჩათვლით, კომპანია „ალბატროსში“ არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები გადიან სტაჟირებას, დასაქმების პერსპექტივით.





2016 წლის 21 იანვარს, სპიკერების პროგრამის ფარგლებში “ერთი ლექცია” ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და პროფესორ–მასწავლებელთათვის, საჯარო ლექცია ჩაატარა ცნობილმა, თანამედროვე ქართველმა მწერალმა დათო ტურაშვილმა. ლექცია არქიტექტურისა და ლიტერატურის შესახებ, მიმდინარეობდა სტუდენტებთან დიალოგის რეჟიმში. ფაკულტეტზე მოქმედი სპიკერების პროგრამის “ერთი ლექციის” ფარგლებში ყოველწლიურად იგეგმება შეხვედრები და საჯაროლექციები სხვადასხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

2015 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში გაიმართა სტუ–სარქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემებს მიეძღვნა. მასში მონაწილეობა მიიღეს როგორც ჩვენი ფაკულტეტის, ასევე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის, ასევე საქართველოს არქიტექტორტა კავშირის წარმომადგენლებმა. კონფერენციამ ტრადიციულად დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

2015 წლის 7 – 10 დეკემბერს ფლორენციაში ჩატარებულ არქიტექტურის, სამოქალაქო ინჟინერიის და დიზაინის ევრაზიული სკოლების მეხუთე საერთაშორისო ფესტივალზე სადიპლომო ნამუშევრების კონკურსზე მესამე ხარისხის დიპლომი წილად ხვდა ჩვენიფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნატალი ბეზარაშვილის პროექტს „ ფსიქიატრიული კლინიკა პალიასტომის ტბასთან“ (ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი). ამ კონკურსზე ასევე წარდგენილი იყო „მოცულობითი არქიტექტურის“ მაგისტრანტების შემდეგი სადიპლომო ნაშრომები: მამუკ აბარათაშვილის „ობსერვატორია, მუზეუმი და ტურისტული ცენტრი ხევსურეთში (შატილისა და მუცოს შორის მთებზე“, ხელმ: პროფესორი გია ნადირაძე; ანა ბიბილაშვილის „მრავალფუნქციური კომპლექსი თბილისში მტკვრის მარჯვენა

სანაპიროზე (ცირკის მიმდებარე ფერდობზე)“ ხელმ: პროფესორი ვახტანგ დავითაია; შოთა ჯოჯუას „კულტურული ცენტრი ლაზიკაში“ ხელმ: პროფესორი დავით ბოსტანაშვილი.



2015 წლისშემოდგომაზე ,,თბილისის განვითარების ფონდის“, გერმანული ფირმა „Peter moenning“-ის და თბილისის მერიის მხარდაჭერით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური კონკურსი - ,,მომავალი თბილისი დღეს– 2015“. 19 ნოემბერს თბილისის საკრებულოში შედგა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც ნომინაციაში – „საუკეთესო ურბანული დაგეგმარება“ გაიმარჯვა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის სწავლების მე-3 წლის სტუდენტმა ნონა ითაშვილმა. მასჯილდოდგადაეცასამახსოვროდიპლომიდაკომპიუტერულიტექნიკა, კრძოდპლანშეტი. ნ. ითაშვილსკონკურსზეწარმოდგენილიჰქონდაპროექტი ,,ხელოვნებისცენტრი-ყველასთვის“, რომელიცდაგეგმარდამუხიანისრადიოქარხნის ტერიტორიაზე.

ინგლისელი ლანდშაფტის არქიტექტორის **საიმონ ბელის** ლექცია

2015 წლის 17 ნოემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზინის ფაკულტეტზე
N 510 აუდიტორიაში ჩატარდა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორის, ინგლისელი ლანდშაფტის არქიტექტორის საიმონ ბელის (Simon Bell) ლექცია ლანდშაფტური არქიტექტურის თემაზე.
ლექციის შემდეგ ჩატარდა ვორქშოფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მიმდინარე შუალედურ შეფასებებში წარმატებულმა III-IV სასწავლო წლის სტუდენტებმა. საუკეთესო ნამუშევრები და ჯილდოვდ ასპეციალურიდი პლომებით, ხოლო მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

2015 წლის 20 ივნისს გაიმართა კომპანია „კარესა“ და სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსის: „ყველაფერი გარდა ჩვეულებრივისა“ (Everything Except The Ordinary) ფინალური ტური.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ სტუ-ს და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. ფინალურ ტურზე წარმოდგენილი იყო ათი საუკეთესო ესკიზური პროექტის დასრულებული გრაფიკული ვერსიები და მათი პრეზენტაციები.

ფინალურ ტურის შესაფასებლად ჟიურის გარდა მუშაობდა სტუდენტური ჟიურიც.

გამოვლინდა გამარჯვებული ნამუშევრები. **პირველი ადგილი** მიენიჭა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტის **ელენე მაჩაიძის** ნამუშევარს, **მეორე ადგილი** სტუდენტური ჟიურის გადაწყვეტილებით ამავე ფაკუტეტის სტუდენტის **გვანცა ცქიფურიშვილის** პროექტმა დაიკავა.

გამარჯვებულები კომპანია „კარემ“ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა, სერთიფიკატები გადაეცათ კონკურსის ფინალში გასულ ყველა სტუდენტს.

06/04/2015

ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ წელს მეთოთხმეტედ უმასპინძლა უმნიშვნელოვანე არქიტექტურულ ფორუმს – არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალეს. ტრიენალე მსოფლიო არქიტექტურის სამი წლის მონაგარის შეჯამებაა. საერთაშორისო ჟიური ავლენს საუკეთესო ნაწარმოებებს (პროექტები, რეალიზაცია), არქიტექტურულ წიგნებსა და ჟურნალებს, საუკეთესო სამაგისტრო და საბაკალავრო დიპლომებს. ასევე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსები ერთობლივი გამოფენით აბარებენ „ანგარიშს“.

ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმში, რომელიც 1983 წლიდან იღებს სათავეს, მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარგზავნილი ქართველი არქირტექტორებიც, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, ასევე სტუ–ს ოთხი სტუდენტი.

ტრიენალეზე სტუდენტური სადიპლომო პროექტების კონკურსში წარმოდგენილი იყო 80 პროექტი. სასიხარულოა, რომ ტრიენალეს დიდი ვერცხლის მედლით და საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა ჩვენი არქიტექტურული სკოლის მაგისტრანტი თორნიკე აბულაძე პროექტისათვის „ქართული საბრძოლო ხელოვნების სკოლა“, ხოლო მაგისტრანტ ანა ბიბილაშვილს პროექტისათვის „მრავალფუნქციური ცათამბჯენი“ გადაეცა სერვანტესის ინსტიტუტის სპეციალური პრემია და საპატიო დიპლომი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველ არქიტექტორ-რესტავრატორს მიხეილ გელაშვილს და კონსტრუქტორს ზურაბ გაჩეჩილაძეს „მრავალძალის წმინდა გიორგის ტაძრის“ რესტავრაციისათვის მიენიჭათ 2015 წლის ევროპული კულტურის დედაქალაქად აღიარებული ფრანგული ისტორიული ქალაქ მონსის მერის მიერ დაწესებული პრემია.

პირველი პრემია მიენიჭა აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას ორ პროექტს – „ხელოვნების ცენტრ „მთაწმინდა“–ს რეკონსტრუქცია-გაფართოება და მემორიალს „არა ომს“.

განსაკუთრებით სასიხარულოა ბატონ გია ჯოხთაბერიძის იდეით განხორციელებული, გამომცემლობა „სეზანის“ მიერ გამოცემული საავტორო წიგნის – „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა. ფერწერა. გრაფიკა“–ს წარმატება. წიგნმა მიიღო ორიპრემია – არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის სპეციალური პრემია და ვერცხლის მედალი, ასევე ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის პრემია.

ასეთივე პრემია და საპატიო დიპლომი გადაეცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 90-წლიანი ისტორიის და თანამედროვეობის ამსახველ კატალოგს, რომელიც პროფესორ გოჩა მიქიაშვილის ხელმძღვანელობით არქიტექტურის ფაკულტეტის თანამშრომელთა მრავალწლიანი შრომის შედეგია. სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ასევე გადაეცა საპატიო დიპლომი „სტუდენტური ნამუშევრების მაღალი დონისათვის“.

ამ ფორუმზე ცნობილი ახალგაზრდა არქიტექტორი გიორგი ხმალაძე არჩეულ იქნა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორად. ეს ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი აღიარებაა.

აი, მოკლედის „ნადავლი“, რითაც ქართული დელეგაცია დაბრუნდა სოფიიდან. უცხოელი კოლეგების მიერ „ინტეარქ-2015“-ის „ქართულ ტრიენალად“ მონათვლა, როგორც ჩანს არცთუ უსაფუძვლო იყო.

უმნიშვნელოვანესი იყო აგრეთვე ის შეხვედრები, საუბრები, ატმოსფერო, რომელიც თან ახლავს ასეთ მნიშვნელოვან ფორუმს. საავტორო გამოსვლებიდან განსაკუთრებული იყო იაპონელი ფუმიჰიკო მაკის, იტალიელი მასიმილიანო ფუქსასის, მალტელი რიჩარდ ინგლანდის, შვედი პიტერ პრანის, ჰოლანდიელი ერიკ ვან ეგერატის, რუსი ალექსანდრე კუდრიავცევის, მექსიკელი ფრანცისკო სირანოს, ქართველი ვახტანგ დავითაიას, ამერიკელი მაიკლ ჯონსონის გამოსვლები.

ამ დიდ საერთაშორისო ფორუმზე არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის გარდა მსოფლიოს მრავალი ცნობილი ქალაქის ხელმძღვანელობა ანიჭებს მათ მიერ დაწესებულ პრემიებს გამორჩეულ არქიტექტურულ ნაწარმოებებს და მათ ავტორებს. ეს რა თქმა უნდა საკუთარი ქალაქის პოპულარიზაციის გარკვეულ მუხტსაც ატარებს. ტრიენალეზე ჩვენი დედაქალაქის პრემია ენიჭება „ტრადიციისა და თანამედროვეობის“ თვალსაზრისით საუკეთესო პროექტის ან რეალიზაციის ავტორს. ეს ნომინაცია თბილისის ნიშაა. ამჯერად „თბილისი სპრემია“ მიენიჭა გამოჩენილ მალტელ არქიტექტორს რიჩარდ ინგლანდს. ბატონი რიჩარდ ინგლანდი მესამედ გახდა „თბილისის პრემიის“ ლაურეატი.

ტრიენალეზე მოხდა აკადემიის უმაღლესი ჯილდოების გადაცემა – ბროლის გლობუსის და „წლის არქიტექტორის“ დაჯილდოება, ასევე ახლადარჩეული აკადემიკოსების და პროფესორებისათვის მედლების და დიპლომების საზეიმო გადაცემა. ბროლის გლობუსის მფლობელი გახდა, ჩვენთვის კარგად ცნობილი იტალიელი არქიტექტორი, თბილისის იუსტიციის სახლის ავტორი, მასიმილიანო ფუქსასი, ხოლო „წლის არქიტექტორი“ გახდა ნიუ-იორკში, ტერორისტების მიერ განადგურებული ორი ცათამბჯენის ადგილას აგებული ახალი ცათამბჯენის ავტორი, თანამედროვე არქიტექტურის კლასიკოსი, იაპონელი ფუმიჰიკო მაკი.



ტიმოთი ვონგის ლექცია

2015 წლის 21 იანვარს, ოთხშაბათს, 14.00 საათზე სტუ–ს არქიტექტურის ურაბნისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე N405 აუდიტორიაში გაიმართა ამერიკელი ლანდშაფტის არქიტექტორის, ჰარვარდის უნივერსიტეტის წარმომადგენლის ტიმოთი ვონგის (Timothy Wong) ლექცია თემაზე ლანდშაფტური არქიტექტურა – პარკების, ქუჩების, მწვანე ინფრასტრუქტურის დაგეგმარება.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველს ტუდენტებს შორის, რისი დასტურიც გახლდათ ლექციის შემდგომ კითხვა–პასუხის ფორმატში გამართული დისკუსიები.

2015 წლის 17 იანვარს 11 საათზე ჩატარდა სტუდენტთა ვორქ-შოპი (კლაუზურა) თემაზე „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ჰოლის ინტერიერი“.
განხილვის შედეგად, კლაუზურის პირობების შესაბამისად, გამოვლინდა სამი გამარჯვებული: 1 ადგილი - ნიკა სამხარაძე (200 ლარი)
2 ადგილი - გიორგი სისაური (100 ლარი)
3 ადგილი - გვანცა ცქიფურიშვილი (50 ლარი).

2014 წლის 26 დეკემბერს არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა ჩვენი თანამშრომლის არქიტექტორ ელენე კილაძის წიგნის „ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები“ პრეზენტაცია, რომელმაც ფაკულტეტის პედაგოგებსა და სტუდენტებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია.



2014 წლის 9 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა სტუ-ს და თსსა-ის სტუდენტთა
XXX ერთობლივი სტუდენტური კლაუზურა კონკურსი თემაზე : “ვარსკვლავის სამყარო ”.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სტუ-ს და თსსა-ის 57 სტუდენტმა.
ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში თბილისის სახატვრო აკადემიიდან შედიოდნენ პროფესორები გიგა ბათიაშვილი, ვლადიმერ ცინცაძე, მერაბ ჩხენკელი, ხოლო სტუ-დან – პროფესორები ვახტანგ დავითაია, ვაჟა გელაშვილი და გოჩა მიქიაშვილი, აღნიშნა კონკურსის მაღალი შემოქმედებითი დონე. პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა:

არქიტექტორთაკავშირისსახოლობისპრემია: “შოთაბოსტანაშვილიახელობის” დიპლომიმიენიჭათმარიამმაღლაკელიძეს (სტუ, III კურსი) დავლადიმერგაის (თსსა, IV კურსი). I პრემიადაიმსახურესმარიამმაღლაკელიძემ (სტუ) დათამაზარუნაშვილმა, (თსსა). II პრემია – ალექსანდრემამუკაშვილმა (სტუ) დაალექსისოლომნიშვილმა (თსსა),
III პრემია – კახაბერბეგიაშვილმა (სტუ) დავლადიმერგაიმ (თსსა).
საინტერესოხედვისათვისწამახალისებელიპრემიებიმიიღესკახაინჟიკიანმა, თედოხარჩილავამ, სალომეჯავახიძემ (სტუ), ალექსანდრეზვიადაურმა, ვლადიმერაფანასიევმა, ნატობაზღაძემ (თსსა).
გიგაბათიაშვილისპერსონალურიპრემიამიენიჭამარიამმაღლაკელიძეს (სტუ) დადავითკოპალიანს (თსსა).
ვახტანგდავითაიასპერსონალურიპრემიამიიგესმარიამგოგიტიშვილმა (თსსა) დამარიამშაიშმელაშვილმა (სტუ).

2014 წლის 11-18 ოქტომბერს ქ. ბაქოში ჩატარებულ სადიპლომო ნამუშევართა საერთაშორისო კონკურსზე ჩვენი მაგისტრების წარმატებები: 1 ხარისხისდიპლომი - შოთაგელაშვილი 2 ხარისხისდიპლომები - გურამხოსრუაშვილს, სოფიოჯოხაძეს,რუსუდანაბზიანიძეს.

2014 წლის 3 ივნისს N602 დეპარტამენტმა გამოაცხადა „ხატვის სტუდიის ინტერიერის დიზაინის პროექტის“ კონკურსი, რომელშიც პირველი ადგილი მიენიჭა IV კურსის სტუდენტს ნ. ჭანტურიას, ხოლო მეორე ადგილი განაწილდა IV კურსელ ნ. ბანეთიშვილსა და გ. მაისურაძესშორის.
გამარჯვებულებსგადაეცათსიგელებიდაფულადიჯილდოები.
ყველამონაწილედაჯილდოვდასამახსოვროსაჩუქრებით.

2014 წლის 4 ივნისს საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისარქიტექტურის, ურბანისტიკისადადიზაინისფაკულტეტზემოეწყოერთ–ერთიმნიშვნელოვანიმიმართულების, ლანდშაფტურიარქიტექტურისსტუდენტთადაპედაგოგთანამუშევრებისგამოფენა. გამოფენისმიზანიიყოკონკურსისწესითგამოევლინასაუკეთესოსაკურსოპროექტები. განვლილიპერიოდისმანძილზეგამოფენამდაწარმოდგენილმალანდშაფტურმაპროექ ტებმადიდიინტერესიგამოიწვიესსტუდენტებსადაპროფესორმასწავლებელთაშორის. ამასთანსაგულისხმოა, რომგარდაბაკალავრიატისა, წელსპირველად, ახალგაზრდებსსაშუალებამიეცათსწავლაგანაგრძონმაგისტრატურაში, ლანდშაფტურიარქიტექტურისმიმართულებით, რომელსაცხელმძღვანელობსპროფესორითენგიზმახარაშვილი.
2014 წლის 4 ივნისსმოეწყოკონკურსშიგამარჯვებულთასაზეიმოდაჯილდოვება. გამარჯვებულსტუდენტებსზვიადგიქოშვილს, გურამჯვარშეიშვილსდანუცაკვანტალიანსსპეციალურიდიპლომებიდასამახსოვროსაჩ უქრებიგადასცესფაკულტეტისდეკანმაპროფესორმაგოჩამიქიაშვილმადაპროფესორმა თენგიზმახარაშვილმა.
სასიხარულოა, რომსტუდენტურისაკურსოპროექტებისგამოფენა–კონკურსიფაკულტეტზეტრადიციადიქცადამრავალიწელიაგრძელდება.

2014 წლის 23 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ ინიცირებული სტუდენტური კონკურსის მონაწილეთა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.
კონკურსის ორგანიზატორები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს გარდა, იყვნენ ქალაქ რუსთავის და ბოლნისის მუნიციპალიტეტები.
2013–2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ფაკულტეტის მე–3 კურსელებმა შეასრულეს რუსთავში არსებულ ტერიტორიაზე საბავშვო სადღეღამისო ბაგა–ბაღის, ხოლო მე–4 კურსელებმა– ბოლნისის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ფენებისათვის განკუთვნილი საცხოვრისის პროექტები.
რუსთავის სადღეღამისო ბაგა– ბაღის პროექტის კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტთა სია ასე გამოიყურება: 1.გიორგი ცუცქირიძე 2. ოთარ თუხარელი 3. ივენე ებრალიძე
ბოლნისის სოციალური სახლის პროექტის კონკურსში ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო ნადირაშვილი 2.თამარ ბენაშვილი 3. სანდრო ჩიგოშვილი
კონკურსის მონაწილეებს და გამარჯვებულებს დიპლომები გადასცა ფაკულტეტის დეკანმა გოჩა მიქიაშვილმა. სამახსოვრო საჩუქრები სტუდენტებმა მიიღეს რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისაგან ბ–ნ იმედა ვარდიშვილისგან, აგრეთვე ბოლნისის გამგებლისგან ქ–ნ ალექსანდრა ობოლაძისგან.
დაჯილდოებას თან ახლდა საინტერესო ნაშრომის „სოციალური საცხოვრისი– საქართველოს რეალობა საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტში“ პრეზენტაცია. ეს ნაშრომი შესრულებულ იქნა პროფესორ ვლადიმერ ვარდოსანიძის და მისი ასისტენტის ახალგაზრდა არქიტექტორის ელენე დარჯანიას მიერ.
კონკურსების მონაწილეებს დაურიგდათ შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ გამოცემული სამახსოვრო ბუკლეტები, რომელშიც შევიდა კონკურსში მონაწილე პროექტების ილუსტრაციები. ეს ბუკლეტები სტუდენტებს გადასცა სააგენტოს წარმომადგენელმა ქ–მათამარ წივწივაძემ.

2014 წლის 22 მაისს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე, სპიკერების პროგრამის ფარგლებში “ერთი ლექცია” 2014 წლის 22 მაისს ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და პროფესორ–მასწავლებელთათვის, საჯარო ლექცია ჩაატარა ცნობილმა მეცნიერმა და პოლიტიკოსმა ლევანბერძენიშვილმა, თემაზე : „არქიტექტურა მსოფლიო ლიტერატურაში“

2014 წლის 23 აპრილს სტუ–სარქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა ჩვენგან უდროოდ წასული კოლეგის, ქალბატონ მაიაკაჭარავას წიგნის „XI საუკუნისქართულიჯვარ–გუმბათოვანი ძეგლების პროპორციები“–სპრეზენტაცია. მაიაკაჭარავა, რომელიც 1984–2011 წლებშიმუშაობდაფაკულტეტზე, წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო და აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან, ტრადიციულად ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური კონფერენციების არქიტექტურის სექციას.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი შენაძენის მიმართ. საღამოზე ძალზე უხვად ჟღერდა თბილი მოიგონებები ქალბატონ მაიას მიმართ. სიტყვებით გამოვიდნენ ფაკულტეტის დეკანი გ. მიქიაშვილი, წიგნის

წინასიტყვაობის ავტორი პროფესორი ნ. შავიშვილი, წიგნის რეცენზენტი პროფესორი გურამ ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნე მარინე გველესიანი, მღვდელი ნიკოლოზი, ქალბატონი მაიას მეუღლე პროფესორი ვასილ კაჭარავა, რომელმაც ითავა წიგნის გამოშვების მეტად საშური საქმე, და სხვები.

2014 წლის 25 მარტს ფაკულტეტზე, სამი გამარჯვებული პროექტის ავტორებს: ელენე მაჩაიძეს (ჯგ. N6200), ლინდა დევაძეს (ჯგ. N6206) და ელენე სიფრაშვილს (ჯგ. N6200), საქართველოს პედაგოგ–ქორეოგრაფთა ასოციაციის და ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ნატალია დიღმელაშვილის მიერ, საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სიგელები და სპეციალური პრიზები. მათ გარდა წამახალისებელი პრიზებით აღინიშნა კიდევ 7 სტუდენტის ნამუშევარი: ლევან კაკაურიძე (ჯგ. N6200), აბრაამ ცირდავა (ჯგ. N6206), დიმიტრი ტარტარაშვილი (ჯგ. N6205), რამაზ პაიჭაძე (ჯგ. N6201), დავით კოლოტაური (ჯგ. N6207), გიორგი გამყრელიძე (ჯგ. N6200), თამარ ქსოვრელი (ჯგ. N6201). მთლიანობაში სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლის სტუდენტებმა ესოდენ წარმატებით გაართვეს თავი ამ რთულ დავალებას და დაიმსახურეს საუკეთესო შეფასება, როგორც პროფესიონალებს, ისე არაპროფესიონალებს შორის.

2014 წლის 11 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა სტუდენტური არქიტექტურული კონკურსი ორი გამარჯვებული პროექტის გამოსავლენად - „მდგრადი სოციალური საცხოვრისი ურბანულ გარემოში ქ. ბოლნისში“ და „სადღეღამისო საბავშვო ბაგა-ბაღი 140 ადგილზე ქ.რუსთავში“. არქიტექტურული პროექტები სტუდენტებმა შეიმუშავეს 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის განმავლობაში არქიტექტურის ფაკულტეტის ლექტორების ხელმძღვანელობით.
ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტები პროექტებისთვის „მდგრადი სოციალური საცხოვრისი ურბანულ გარემოში ქ. ბოლნისში“ არიან: I ადგილი - ნინო ნადირაშვილი, II ადგილი - თამარ ბენაშვილი, III ადგილი - სანდრო ჩიგოგიშვილი. ხოლოპროექტისთვის „სადღეღამისოსაბავშვობაგა-ბაღი 140 ადგილზე ქ.რუსთავში“ გამარჯვებული პროექტების ავტორებიარიან: I ადგილი - გიორგი ცუცქირიძე, II ადგილი - ოთარ თუხარელი, III ადგილი - ივანე ებრალიძე. აღნიშნული არქიტექტურული კონკურსი განხორციელდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SDC-ის, ქ.რუსთავის საკრებულოს და ქ. ბოლნისის გამგეობისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

2013 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზ „უნივერსში“ გაიხსნა ცნობილი ჩეხი არქიტექტორის, თბილისში ჩეხეთის

საელჩოს შენობის ავტორის, სტუ-ის საპატიო პროფესორის იან ბოჩანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. გამოფენის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ ჩეხეთის და საქართველოს არქიტექტორთ აკავშირების, პრაღის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტების წარმომადგენლები და ხელმძღვანელი პირები, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. გამოფენ აგარკვეულ გაგრძელებას წარმოადგენს იან ბოჩანის მადლიერი მოსწავლეების მიერორგანიზებული სამნაწილიანი პერფორმანსისა, რომლის პირველი ნაწილი ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა, მეორე ნაწილ ილონდონში და შემდეგ გადმოინაცვლა თბილისში. გამოფენა 30 ნოემბრამდე გასტანს.

2013 წლის 11 ნოემბერს სტუ-ისარქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა გერმანელი ლანდშაფტის დიზაინერის, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრის უდო დაგენბახის (Udo Dagenbach) ლექცია. სტუმარი ქართველ სტუდენტებს ესაუბრა მის მიერ ბოლო დროს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებულ პროექტებზე. მან გამოთქვა სურვილი პერიოდულად, წელიწადში რამდენიმეჯერ ჩაატაროს ასეთი ლექციები ჩვენი სტუდენტებისათვის, რაც უთუოდ დაეხმარება მათ წარმოდგენა იქონიონ ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე საერთაშორისო მასშტაბით.

2013 წლის 9 ნოემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზ „უნივერსში“ გაიმართა პოეზიის საღამო, რომელშიც არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და ხელოვნების ამ დარგის სხვა მოყვარულებმა მიიღეს მონაწილეობა. დამსწრეთა წინაშე საკუთარი ლექსები წაიკითხეს სტუდენტებმა ირაკლი ჭიკაიძემ, ლაშა შარაშენიძემ, მიხეილ ტაველიშვილმა, ირაკლი ზუკაკიშვილმა, ანი ნოზაძემ. სტუდენტთ ალექსების კითხვა კლასიკური და თანამედროვე მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა გოჩა მიქიაშვილმა სტუდენტებს შესთავაზა მათი ლექსების პოეტური კრებულის გამოცემა ფაკულტეტის ხარჯებით, რაც ახალგაზრდა პოეტებისათვის შეიძლება პირველი აღიარების საწინდარი გახდეს.

2013 წლის 5 ნოემბერს გალერეაში „უნივერსში“ ჩატარდა ქართულ-შვეიცარიული სტუდენტურ არქიტექტურულ კონკურსში „მდგრადი სოციალური საცხოვრისი ურბანულ გარემოში“ გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოების ცერემონიალი. აღნიშნული არქიტექტურული კონკურსი შედგა 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SDC-ის, ქ.თბილისის მერიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის

ერთობლივი პროექტის ფარგლებში; ის გულისხმობდა 100-ბინიანი სოციალური საცხოვრისის არქიტექტურული პროექტების შემუშავებას ქ.თბილისში მდებარე ორი მიწის ნაკვეთისთვის. გამარჯვებული 6 პროექტისავტორები დაჯილდოვდნენ ქ. თბილისის მერიის მიერ დაწესებული ფულადი პრიზებითა და სუვენირებით, რომლებიც მათ გადასცა ქ.თბილისის ვიცე-მერმა ქ-ნ სევდია უგრეხელიძემ. ღონისძიების ფარგლებში შედგა ნაშრომის - „სოციალური საცხოვრისი - საქართველოს რეალობა საერთაშორისო კონტექსტში“ (ავტორები: დარჯანია, ე. ვარდოსანიძე, ლ.) - პრეზენტაცია.

2013 წლის 2 ნოემბერს

საქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტისარქიტექტურისფაკულტეტზეჩატარდატრა დიციული, რიგით 28-ე, სტუდენტურიკლაუზურა-კონკურსისსტუ-სდათბილისისსახელმწიფოსამხატვროაკადემიის 52 სტუდენტთა (აქედან 27 სტუ-დანდა 25 თსსა-დანგახლდათ) მონაწილეობით. კლაუზურის თემა გახლდათ ადამის და ევას საცხოვრებელის (საცხოვრისის) გააზრება ედემის ბაღში. ჟიურიმ, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე უმაღლესის კოლის 2-2 პედაგოგით (ვ.დავითაია, ვ. გელაშვილი, გ. ბათიაშვილი, ვ.ცინცაძე) იყო დაკომპლექტებული შემდეგი გამარჯვებულები გამოავლინა: სტუ-დან პირველი პრემია -ლევან ბუაძემ, მეორე პრემია- სალომე გუგუნავამ, მესამე პრემია- გიორგი ზანგალაძემ მოიპოვეს. თსსა- დან : პირველიპრემიაწილადხვდაეკატერინემინდიაშვილს, მეორეპრემია-გიორგიმახათაძესდამესამეპრემია- მარიამგორჯილაძეს. მათგადაეცათფულადიჯილდოებიდასტუ-სისტორიისდათანამედროვეობისამსახველიკრებულები. ამასგარდაწამახალისებელიპრემიითსაინტერესოხედვისთვისარქიტექტურის საერთა შორისოაკადემიისაკადემიკოსებისგიგაბათიაშვილისდავახტანგდავითაიასწიგნებიგა დაეცათსტუ-სსტუდენტებს: ნოდარ კვანჭიანს, ვანო ებრალიძეს და გიორგი ცუცქირიძეს, აგრეთვე აკადემიის სტუდენტებს: ნატო ბაზრაძეს, ლადო აფანასიევს და ლევან მირიანაშვილს.

- **2013 წლის 14 მაისს** საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა კონფერენცია. სადაც პირველად მიიღეს მონაწილეობა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტებმა. რაც უდაოდ ორგანიზატორის ქალბატონ ნატო გენგიურის დიდი დამსახურებაა. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს მიერ ჩატარებული წლევანდელი კონფერენცია უკვე ექვსწლიან ტრადიციას მოიცავს. მაგისტრანტებმა წარმოადგინეს საინტერესო მოხსნებები არიტექტურის თანამედროვე მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ მაგისტრანტმა შოთა გელაშვილმა თავის მოხსენებში : " დეკონსტრუქტივიზმი –მოწესრიგებული ქაოსი", თანამედროვე არქიტექტურის მაგალითების საფუძველზე საინტერესოდ ისაუბრა ამ მიმდინარეობის მხატვრულ, იდეურ და ფილოსოფიურ არსზე. არანაკლებ საინტერესო იყო მაგისტრანტ რუსუდან აბზიანიძის მოხსენება "ფრენკ ლოიდ რაიტი–ადამიანი რომელმაც გაუსწრო დროს" სადაც ავტორის მიერ საკმაოდ მრავალმხრივად იყო გაანალიზებული მე–20 საუკუნის ერთ ერთი ცნობილი არქიტექტორის შემოქმედებითი გზა და მისი შემოქმედების ის საეტაპო პროექტები, რომელმაც მიმართულება მისცა თანამედროვე არქიტექტურის შემდგომ განვითარებას.

- **2013 წლის 2-3 მაისს** აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გაიმართა ჰეიდარ ალიევის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაში, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა და პედაგოგთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ: ბაკალავრი თამუნა ბენაშვილი, მაგისტრები სიფიკო ბოსტოღანაშვილი და ნათია გონაძე, ასოცირებული პროფესორები ნინო ხაბეიშვილი და თინათინ ჩიგოგიძე. ჩვენმა წარგზავნილებმა, თავისი გამოსვლებით, რაც თანამედროვე არქიტექტურის პრობლემებს ეძღვნებოდა, დამსწრე საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურეს.
-

- **2013 წლის 22 მარტს** საგანმანათლებლო პროგრამა „ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები“- ს ფარგლებში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტმა უმასპინძლა ამერიკელ არქიტექტორს ბერნჰარდ კარპფს (Bernhard Karpf), რომელიც საყოველთაოდ ცნობილი არქიტექტორის, პრიცკერის პრემიის ლაურეატის რიჩარდ მაიერის პარტნიორია (Richard Meier & Partners Architect). ჩვენმა სტუდენტებმა სტუმარს წარუდგინეს ბოლო დროის ნამუშევრები, რამც სტუმრის გულწრფელი აღტაცება და მოწონება დაიმსახურა.

საღამო გაგრძელდა სტუ-ის ნიკოლაძის სახელობის დარბაზში, სადაც სტუმარმა წაიკითხა ძალზედ საინტერესო ლექცია რიჩარდ მაიერის და მის ჯგუფის შემოქმედებაზე. ბოლოს ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ არქიტექტურულ საზოგადოებაში.

- **2013 წლის 4-8 მარტს** არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტმა უმასპინძლა შვეიცარიის დედაქალაქ ბერნის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის 5 სტუდენტისა და მათი ხელმძღვანელისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლებიც ჩვენს ორ უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე იმყოფებოდა თბილისში.

ოთხი დღის განმავლობაში ორივე მხარის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა ვორქშოფი, რომელიც თბილისში სოციალური საცხოვრისის დაპროექტების და მშენებლობის საკითხებს მიეძღვნა. დასკვნით საღამოს სტუდენტებმა წარმოადგინეს თავისი ნამუშევრები, რომლებმაც ფართო საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

საღამოს ესწრებოდნენ შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელი პირები, თბილისის მერიის წარმომადგენლები ვიცე-მერის ქ-ნ სევდია უგრეხელიძის ხელმძღვანელობით, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

2013 3 4

2013 3 4


2013 3 4

2013 3 4

- **2012 - წლის 18–19 სექტემბერს**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა არქიტექტურის სექციის სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემებს მიეძღვნა.

კონფერენციის მუშაობაში სტუ–ს პროფესორების გარდა მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის მერიის არქიტეტურის სამსახურის, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის, სხვადასხვა არქიტექტურლი ფირმების და კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლებმა. დაგეგმილია კონფერენციაზე გამოტანილი ყველა მოხსენების უმოკლეს დროში გამოქვეყნება ფაკულტეტის რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში „არქიტეტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

- **2012 - წლის 17 სექტემბერს** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა მსოფლიოში ცნობილი არქიტექტურული ფირმის „ორტნერი და ორტნერი“ (“Ortner & Ortner“) წარმომადგენლის და პარტნიორის არქიტექტორ მარკუს პენელის (Markus Penel) საჯარო ლექცია თემაზე „ევროპის ნიადაგზე“.

მომხსენებელმა, ცნობილ ლანდშაფტის არქიტექტორ უდო დაგენბახთან (Udo Dagenbach) და ამ ფირმის ბერლინის ოფისში მომუშავე ჩვენ თანამემულესთან, სტუ–ს კურსდამთავრებულ გიორგი მჟავანაძესთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას გააცნო უკანასკნელ წლებში მათ მიერ განხორციელებული არქიტექტურული პროექტები და ახლო მომავლის გეგმები.
ლექციამ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების და პედაგოგების დიდი ინტერესი გამოიწვია, რისი დასტურიც გახლდათ გ. ნიკოლაძის სახელობის გადაჭედილი დარბაზი.

• **2012 - წლის 25–29 აპრილს** აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა ფლორენციის რომუალდო დელ ბიანკოს ხელოვნების საერთაშორისო ფონდის რეგიონალური ფესტივალი „ხარისხი და პროფესია", რომელშიც სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და პროფესორ–მასწავლებლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

სტუდენტურ კონკურსში წარდგენილი იყო 6 სადიპლომო ნამუშევარი, რომლებსაც საერთაშორისო ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა. არქიტექტურის ნომინაციაში პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა ჩვენი მაგისტრანტის თამუნა ცანავას ნაშრომს, მეორე ადგილი წილად ხვდა ვასიკო გიორგაძეს, ხოლო მესამე ადგილი ასევე მაგისტრანტმა ბექა ხუციშვილმა დაიმსახურა. საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტში ჩატარდა, ჩვენმა პროფესორებმა: გ. მიქიაშვილმა, მ. მილაშვილმა, ვ. მჭედლიშვილმა, მ. მაისურაძემ, ნ. იმნაძემ, მ. დავითაიამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საკუთარი სამეცნიერო კვლევები, ასევე გააცნეს ჩვენი ქვეყნის მიღწევები არქიტექტურის და ქალაქგეგმარების სფეროში, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

- **2012 - წლის 20–დან 26 თებერვლამდე** ბაკურიანში გაიმართა მოთხილამურე არქიტექტორთა ტრადიციული შეხვედრა – ჩემპიონატი. შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა არქიტექტურული კონკურსი სასტუმროს ტიპის სახლის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოსავლინებლად.

შეხვედრას საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. მასში ჩვენი ფაკულტეტის სტდენტებთან და პედაგოგებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, სომხეთის და ბელორუსიის წარმომადგენლებმა.

- **2012 - წლის 15 იანვარიდან** ჩვენი ვებ გვერდი ჩაირთო ანალიტიკური დაკვირვების სივრცეში (Google Analitics). ამიერიდან ჩვენ სისტემატიურად ავსახავთ ჩვენი ვებ–გვერდის მოხმარების დინამიკას. მიმდინარე შედეგების სანახავად გამოიყენეთ მენიუს (<<< მარცხნივ) ქვეშ განთავსებული ჰიპერმითითება – visited.

- **2011 - წლის 26 ნოემბერს** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა ტრადიციული XXIV სტუდენტური არქიტექტურული კონკურსი, რომლის თემა იყო "არა ტერორიზმს". იგი მიეძღვნა ნიუ-იორკის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორსტული აქტის 10 წლისთავს და მის მსხვერპლთა ხსოვნას. ონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და თბილისის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის 57 სტუდენტმა.

სტუდენტთა ნამუშევრები გამოიფინა სტუ-ს საგამოფენო დარბაზ „უნივერსში" სადაც 29 ნოემბერს 16.00 საათზე შედგა დაჯილდოების საზეიმო

ცერემონიალი.
წამახალისებელი პრემიები მიიღეს: მარიამ ჭულუხაძემ (სტუ), ბესარიონ ლეჟავამ (თსსა), ირაკლი წოწორიამ (სტუ), სალომე მიქაბერიძემ თსსა), თამარ ბენაშვილმა (სტუ), თემურ თაბუკაშვილმა (თსსა). ორი მესამე პრემია დაიმსახურეს ნონა დავითაიამ (თსსა) და ვანიკო ქათამაშვილმა (სტუ). ორი მეორე პრემია წილად ხვდათ შოთა გელაშვილს (თსსა) და ბექა ხუციშვილს (სტუ), ხოლო ორი პირველი პრემია მარიამ გორჯოლაძეს და თამარ ცანავას (სტუ). საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ დაწესებული გრან პრი გადაეცა სტუ-ს სტუდენტს ქეთი სვანიძეს.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო საქართველოში აშშ-ის საელჩოს კულტურის ატაშემ ქ-ნმა იაროსლავა (ლოლა) პეტროვამ. მან მადლობა გადაუხადა კონკურსის ორგანიზატორებს და სტუდენტებს აშშ-სადმი თანაგრძნობისათვის და გამარჯვებულებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები. ჟურნალ "სტილის" რედაქტორმა ბატონმა დიმიტრი მოსულიშვილმა გამარჯვებულებს გადასცა ჟურნალ "სტილის" ბოლო ნომერი, ხოლო გრანპრის მფლობელს ქეთი სვანიძეს გადაეცა წიგნი – "თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრნენ სტუ-ს და თსსა-ის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

- **2011 - წლის 24–25 ნოემბერს** სტუ–ში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი ექსპერტი და სამრეწველო დიზაინერი, დოქტორი ჯანკარლო პერინი. მას თან ახლდა ჩვენი თანამემამულე, მსოფლიოში სახელგანთქმული დიზაინერი ზვიად ციკოლია. ბატონი პერინი დანტერესდა და გაეცნო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესს. განსაკუთრებულ ინტერესი გამოიწვია ჩვენი ფაკულტეტის მიერ შემუშავებულმა ტექნიკური დიზაინის პროგრამამ, რომელიც მომავალი წლის სექტემბრიდან იწყებს ფუნქციონირებას. ფაკულტეტზე გამართულ შეხვედრაზე განხილული იქნა საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები და

სამომავლო გეგმები.

- **2011 - წლის 19-23 ნოემბერს** ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „შავი ზღვის რეგიონში კოოპერაციის სტრატეგიები და პოლიტიკები“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ვარნის თავისუფალი უნივერსიტეტი „Chernorizets Hrabar”, კონრად ადანაუერის ფონდი და ევროპული კველევების ცენტრი (ბრიუსელი).

კონფერენცია მიზნად ისახავდა შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური კოოპერაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, ტრანსრეგიონულ თანამშრომლობას, კულტურული ხიდის განვითარებას შავი ზღვის რეგიონსა და ევროკავშირს შორის, ასევე, ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთობლივი კვლევითი აქტივობისათვის აკადემიური ქსელის დაფუძნებას მომავალში ერთობლივი პროექტების იმპლემენტაციისათვის. აღსანიშნავია, რომ კონფერენცია ორგანიზებული იყო ორ სესიად - პოლიტიკურ და აკადემიურ სესიებად, სადაც მოწვეულნი იყვნენ როგორც მაღალი რანგის ოფიციალური პირები ევროკავშირის ადმინისტრაციიდან, ცენტრალური მთავრობიდან და ადგილობრივი ხელისუფლებიდან, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ექსპერტები,

უნივერსიტეტების პროფესორები და ა.შ. აღნიშნულ კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენლები პროფესორი ვლადიმერ ვარდოსანიძე და ნინო ჩხეიძე.

- **2011 - წლის 24-28 ოქტომბერს** ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: „ქ. თბილისის ისტორიული ცენტრის რეკონსტრუქცია-რენოვაცია და რეაბილიტაცია“. ვორქშოფის ორგანიზატორები იყვნენ ჩეხეთის და საქართველოს არქიტექტირთა კავშირები, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური, განვითარების ფონდი, ა.ქუთათელაძის სამხატვრო აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეველოპერული კომპანია NDC (საქართველო), არქიტექტურული ატელიე KASUA (ჩეხეთი), ვორქშოფის მიზანი იყო ქ. თბილისის ისტორიული ბირთვის, ბარათაშვილის ქუჩასა და მშრალ ხიდს შორის მოქცეული ტერიტორიების სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო და სარენოვაციო საპროექტო წინადადების შემუშავება.

ვოექშოფის მიმდინარეობისას შეიქმნა სტუდენტთა შერეული საერთაშორისო სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც ჩართულები იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის, ქ.თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის, პრაღის არქიტექტურის ინსტიტუტის და ვალენსიის არქიტექტურული სკოლის წარმომადგენლები, აგრეთვე უმაღლესი სკოლების პედაგოგები, პრაქტიკოსი არქიტექტორები, დარგობრივი სახელმწიფო სამსახურები, უცხოელი სპეციალისტები, ბიზნესისი წარმომადგენლები.

ვორქშოფის მიმდინარეობას სერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ: საქრთველოს მხრიდან სამხატვრო აკადემიის პროფესორი გიგა ბათიაშვილი და შაქრი ქურდიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან ნინო იმნაძე, საქართველოს არქიტექტურის კავშირიდან გიორგი ყიფიანი. ჩეხეთის მხრიდან არქიტექტურულ დიველოპერული ფირმა „კასუას“ გენერალური დირექტორი ბატონი ოლეგ ჰამანი. ვორქშოფის შედეგები საერთაშორისო ჯგუფებმა წარმოადგინეს დასკვნით პრეზენტაციაზე, რომელიც გაიმართასაქართველოს არქიტექტორთა კავშირის საგამოფენო დარბაზში 2011 წლის 29 ოქტომბერს.

• **2011 - წლის 16 დან 23 ოქტომბრამდე** სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩატარდა უმაღლესი არქიტექტურული სკოლების 2011 წლის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების XX საერთაშორისო დათვალიერება კონკურსი არქიტექტურასა და დიზაინში, რომელიც ერევნის არქიტექტურის და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლის საიუბილეო დღეებს მიესადაგა. პარალელურად მიმდინარეობდა სამეცნიერო კონფერენცია "ევროპულ არქიტექტურულ განათლებაში ინტეგრაცია რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით", რომელიც არქიტექტურული განათლების პრობლემებს მიეძღვნა.



კონკურსზე წარმოდგენილი იყო 78 არქიტექტურული სკოლის 565 ნამუშევარი, მათ შორის უკრაინიდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, ჩინეთიდან, იტალიდან და ესპანეთიდან.







საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა კონკურსზე წარადგინა 6 სადიპლომო ნამუშევარი, რომელთაგან 3-3 სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომი იყო.

ჩვენმა წარგზავნილებმა ამ დათვალიერება-კონკურსზე დიდ, აქამდე არნახულ წარმატებას მიაღწიეს. საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით I პრემია დაიმსახურეს მაგისტრანტებმა: ლევან მათიაშვილმა - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის პროექტისათვის, გიორგი შაყულაშვილმა სამთოსათხილამურო კომპლექსის პროექტისათვის ბაკურიანში (ხელმძღვანელი გია ნადირაძე); გიორგი მელაძემ თანამედროვე გარემოში ახალი საცხოვრისის პროექტისათვის (ხელმძღვანელი მედეა მელქაძე): ბაკალავრებმა:

ალექსანდრე ხასიამ - მრავალფუნქციური ბიზნეს-ცენტრის პროექტისათვის, ნანა ლეკვეიშვილმა - სასტუმრო კომპლექსის პროექტისათვის 100 ადგილზე

(ხელმძღვანელი ზაზა სვანაძე).
ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე პრემია მიენიჭა ბაკალავრ ვახტანგ ნემსაძეს - სასტუმრო კომპლექსის პროექტისათვის 300 ადგილზე (ხელმძღვანელი მედეა მელქაძე).

- **2011 - წლის 11 ოქტომბერს** გამოვიდა "არქიტექტურული დაიჯესტის" მორიგი – VI ნომერი.

- **2011 - წლის 15–27 სექტემბერს** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო არქიტექტურული საზაფხულო სკოლა BIASS 2011, თემაზე "არქიტექტურა და ბუნებრივი ფაქტორები" , რომლის მიზანი იყო ახალგაზრდა არქიტექტორების ჩართვა ზღვისპირა ქალაქების განვითარების სპეციფიკაში.



საზაფხულო არქიტექტურულ სკოლაში სასწავლო პროცესი მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ კურსს. პრაქტიკული კურსი მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: მოცულობითი არქიტექტურა და ქალაქგეგმარება.



საზაფხულო სკოლამ გააერთიანა საქართველოს, მოსკოვის არქიტექტურული სკოლის (მარხი), დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტის, ქართველი და საზღვარგარეთ მოღვაწე არქიტექტორების გამოცდილება და შესაძლებლობები, რაც შესაბამისად აისახა სტუდენტების მიერ შემოთავაზებულ არქიტექტურლ კონცეფციებში. დაისახა ახალი ერთობლივი საერთაშორისო პროექტები. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. საიტი www.biass2011.blogspot.com

- **2011 - წლის 24–26 მაისს** ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიმართა საერთაშორისო აკადემიური ვორქშოფი არქიტექტორებისა და ქალაქმგეგმარებლებისათვის, რომლის თემა გახლდათ „varna 2019.¬ oqrosferi sinaTlis qalaqi / VARNA 2019. GOLDEN LIGHT CITY“. ამ ვორქშოფში, რომლის ორგანიზატორები ვარნის პორტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ქალაქთმშენებლობით განვითარებასთან დაკავშირებით ახალი იდეების ბანკის შექმნას ისახავდნენ მიზნად, მონაწილეობა მიიღეს ჩვენი უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა პროფესორმა პავლე ძინძიბაძემ და მე–4 კურსის სტუდენტებმა ვახტანგ ნემსაძემ და გიორგი ხიმშიაშვილმა. მათ მიერ შესრულებულმა პროექტმა საერთაშორისო არქიტექტურული საზოგადოების დიდი ყურადღება და სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურეს.

GOLDEN LIGHT CITY
VARNA 2019

- **2011 - წლის წლის 17 ივნისიდან 1 ივლისამდე** იტალიის ქალაქ ფლორენციაში შედგა ხელოვნების რომუალდო დელ ბიანკოს სახელობის საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ვორქშოფი - „მულტიმედია და ნატიფი ხელოვნების პროექტები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სამხატვრო აკადემიის, შავი ზღვის უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა, პროფესორმა თინათინ ჩიგოგიძემ და სტუდენტმა ლუკა კიკიანმა. ფონდი რეგულარულად აწყობს ასეთ საერთაშორისო შეხვედრებს ახალგაზრდებისთვის, რათა ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებს გაიცნონ და გაუგონ ერთმანეთს, ხელი შეუწყონ დამეგობრებას და, ამგვარად, თავისი წვლილი შეიტანონ კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთგაცვლაში.

- **2011 - წლის 15 აპრილს** გამოვიდა "არქიტექტურული დაიჯესტის" მორიგი – V ნომერი

- **მიმდინარე წლის 24–25 მაისს ჩვენთან ჩატარდება სამეცნიერო კონფერენცია** (იხილეთ დეტალურად)

- **2010 - წლის 23 სექტემბერს** საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის გარეუბანში, სერჟი-პონტუაზში შეჯამდა 28-ე ყოველწლიური საერთაშორისო საზაფხულო კონკურსის და ვორქშოფის შედეგები, რომელშიც ჩვენი მაგისტრანტები ვასილ გიორგაძე და ლაშა ჩხაიძე მონაწილეობდნენ. საერთაშორისო ჟიურიმ რომლის შემადგენლობაში ცნობილი არქიტექტორ-ურბანისტები ბერტრან ვარნიე (Bertrand WARNIER), ჟან-მარი სტეფანი (Jean-Marie STEPHAN), როლანდ კარტაუსი (Roland KARTHAUS) და სხვა შედიოდნენ, პირველი პრემია მიანიჭა ვასილ გიორგაძის ნამუშევარს, ხოლო ლაშა ჩხაიძის ნამუშევარმა მესამე ადგილი დაიმსახურა.

les ateliers
maîtrise d'œuvre urbaine

L'INTERFACE RURAL / URBAINDES GRANDES MÉTROPOLES
THE RURAL / URBAN INTERFACE OF LARGE METROPOLITAN AREAS

Pierre-André PERISSOL, Président des Ateliers, Chairman of Les Ateliers
Vincent EBLE, Président du Conseil Général de Seine-et-Marne, President of the conseil général de Seine-et-Marne

En présence des représentants des autorités locales, des acteurs du territoire et de personnalités invitées par *Les Ateliers*,
In the presence of local authorities, territorial actors and guests invited by *Les Ateliers*

Attestent que Vasil GIORGADZE
Certify that Mr / Mrs

a participé à la 28ème session d'été des Ateliers Internationaux de Maîtrise d'Oeuvre Urbaine, à Cergy-Pontoise, du 28 août au 24 septembre,
participated to the international Workshop of Urban Planning in Cergy-Pontoise, France, from 28th August to 24th September 2010

En qualité de Participant
In the role of

Et s'est vu décerner le prix suivant : 1er PRIX
He/she was awarded :

Cergy-Pontoise, 24 septembre 2010
Cergy-Pontoise, 24th September 2010

Vincent EBLE

Pierre-Andrés PERISSOL

aftrp la ville en perspective · CERGY PONTOISE ENERGIES OUEST · ile de France · SEINE & MARNE · epad Établissement Public pour l'Aménagement de la région de la Défense · FONDATION IOSIS · val d'oise le département · ESSEC · université de Cergy-Pontoise

წლევანდელი კონკურსის თემა დიდი მეტროპოლიის საქალაქო და რურალური ურთიერთობების მოწესრიგების პრობლემების გადაჭრას მიეძღვნა. მასში სხვადასხვა ქვეყნის 35-ზე მეტი წინასწარ კონკურსში გამარჯვებული და შერჩეული კანდიდატი ღებულობდა მონაწილეობას.

- **2010 - წლის 11 ივლისს** გოეთეს ინსტიტუტში შედგა ვორქშოფის და კონკურსის "ძველი თბილისის იდენტურობა და სული" შედეგების შეჯამება. კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ ბრიტანეთის საბჭო, გოეთეს ინსტიტუტი, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი ისტორიალი და ICOMOS საქართველო. კონკურსი ,,ძველი თბილისის იდენტურობა და სული", რომელიც გაიმართება 2010 წლის 15 მარტიდან – 15 ივნისის ჩათვლით არის ნაწილი პროექტისა 'ურბანული მემკვიდრეობის დაცვა: ,,ძველი თბილისის ინდივიდუალურობა და სული" ("Old Tbilisi Identity and Spirit" დეტალები შეგიძლიათ იხილოთ www.facebook.com, აღნიშნული გვერდის მისამართზე - http://www.facebook.com/home.php?#!/pages/Old-Tbilisi-Identity-and-Spirit/337946047303?ref=mf)

ამ ვორქშოფში გაიმარჯვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის,

ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულეტის მაგისტრანტ.ა ნიკა მაისურაძემ (იხ. ფაილი).

- **2010 - წლის 9 ივლისს** სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკუკლტეტაზე ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია ჩვენი დედაქალაქის – თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებით.

კონფერენცია მიზნად ისახავდა თბილისის არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის სფეროში არსებული პრობლემატიკის ფართო საზოგადოების წინაშე წარმოჩენას. ამ სირთულეების აღმოფხვრისადმი მიძღვნილ დისკუსიებში პროფესიონალების, საზოგადოების ფართო ფენების, უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურების და ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩართვას.

ცალკეული არქიტექტორების, შემოქმედებითი ჯგუფების მიერ სამეცნიერო ასპარეზზე თუ პრაქტიკაში მიღწეული შედეგების და გამოცდილების გაზიარებას, მათ შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და შემდგომ გაღრმავებას. ახალგაზრდა თაობის შემდგომი პროფესიული ზრდისათვის ხელის შეწყობას .

- **2010 - წლის** 17 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ფლორენციის რომულადო დელ ბიანკოს ფონდს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

- **სტუ–ს** არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე **1 ივნისიდან** იხსნება ინტენსიური სწავლების სპეციალური ჯგუფი „კომპიუტერული გრაფიკა და არქიტექტურული ვიზუალიზაცია“ (**3DS MAX 2010; CS 4**). ლექციებს გაუძღვება ვახტანგ ციკოლია (www.ddd.ge). მსურველებს შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორიაში, ან გამოაგზავნეთ განაცხადი tsikolia_v@ddd.ge

- **2010 - წლის 8 ივლისს** საგამოფენო დარბაზ „უნივერსში“, გაიხსნა ჩეხი და ქართველი სტუდენტების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სტუ-სა

და პრაღის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტების ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტის შესრულების მიმდინარეობას ასახავს.

გასული სემესტრის განმავლობაში ქართველმა და ჩეხმა სტუდენტებმა თავიანთი ქვეყნების დედაქალაქების ურბანული და არქიტექტურული განვითარების პრობლემებზე იმუშავეს და შრომის შედეგები საზოგადოებას წარუდგინეს.





აღნიშნული გამოფენისთვის პრაღიდან ჩამოფრინდნენ საუკეთესო ნამუშევრების ავტორი ჩეხი სტუდენტები, ხოლო სექტემბერში დაგეგმილია საუკეთესო ნამუშევრების ქართველი ავტორების პრაღის არქიტექტურულ სკოლაში მივლინება და შესაბამისი კატალოგის გამოცემა.

- **2010 - წლის 19 და 21 მაისს** სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა 78–ე ტრადიციული სტუდენტური კონფერენციის დასკვნითი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის პირველ ტურში გამორჩეულმა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებმა. სპეციალურმა კომისიამ აღნიშნა სტუდენტების

მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ხარისხობრივად ყოველწლიურად მზარდი დონე და მაღალი შეფასება მისცა მათ ავტორებს.

- **2010 - წლის 19 მაისს** სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა არქიტექტურის ფაკულტეტის „ვიდეომატეანეს“ პრეზენტაცია. „ვიდეომატეანე“, რომელიც პროფესორ გიორგი სალუქვაძის თაოსნობით და ასოცირებული პროფესორის ბადრი გორგილაძის მონაწილეობით შეიქმნა, ქრონოლოგიურად წარმოგვიდგენს ბოლო რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში არქიტექტურის ფაკულტეტზე მომხდარ განსაკუთრებით საინტეერსო მოვლენებს.

- **2010 - წლის 17–24 მაისს** სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა არქიტექტურის ფაკულტეტის I და II კურსის სტუდენტთა გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა–დათვალიერება.



- **2010 - წლის 5 მაისს** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა დეველოპერული კომპანია „არსი“–ს წარმომადგენლების შეხვედრა ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. კომპანიიის გენერალურმა დირექტორმა ბატონმა თორნიკე აბულაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო თბილისის მერიის პროგრამა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, რომელიც კომპანია „არსის“ ინიციატივით შეიქმნა და წარმატებით მიმდინარეობს დედაქალაქში. შეხვედრა ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა და დამსწრეთა დიდი ინტერესით და აქტივობით გამოირჩეოდა.

- **2010 - წლის 27 აპრილს** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახელობის დარბაზში არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა გერმანული ფირმა „შლაიხ ბერგერმან და პარტნიორების“ “Schlaich Bergermann und Partner” www.sbp.de უახლესი პროექტების პრეზენტაცია თემაზე: „გამოწვევები და შესაძლებლობები სტრუქტურულ ინჟინერიაში“. ინჟინერიის დოქტორის ბატონი კაი კურშნერის მოხსენებამ ფართო საზოგადოების, მათ შორის სტუ–ს არქიტექტურის და სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლების და სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია.

- **2010 - წლის 20-23 აპრილს** საქართველოში ჩატარდა იტალიის ქალაქ ფლორენციის რომუალდო დელ ბიანკოს სახელობის საერთაშორისო ფონდის რეგიონალური ხელოვნების ფესტივალი, რომელშიც 7 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ფესტივალის ერთ–ერთი ორგანიზატორი გახლდათ.

ფესტივალის კონფერენციასა და ვორქშოფებში არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან მონაწილეობდა რამოდენიმე ჯგუფი. სასიამნოა, რომ კონკურსში, რომლის დასახელება იყო „სხარტი პრეზენტაცია“ გაიმარჯვა ჩვენი ფაკულტეტის მაგისტრანტების ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გიორგი გიორგაძე, თორნიკე დვალი, რობი გეთიაშვილი და ნიკა მაისურაძე. გამარჯვებულებს გადაეცათ პირველი პრემიისათვის დაწესებული

ფულადი ჯილდო და რომუალდო დელ ბიანკოს სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის სამახსოვრო დიპლომები

- **2010 - წლის 20 აპრილს** თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შედგა სტუ–ს და თსსა ტრადიციული ერთობლივი კლაუზურა– კონკურსი, რომლის თემა გახლდათ „პირველი დასახლება მთვარეზე“. გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო ფულადი პრიზები. კონკურსში ჩვენი ფაკულტეტის 12 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. თსს აკადემიის პროფესორ–მასწავლებლებისაგან შემდგარმა ჟიურიმ სტუ–ს სტუდენტთა შემდეგი ნამუშევრები შეარჩია : პირველი პრემია– თამუნა ცანავა, მეორე პრემია– სალომე ირემაშვილი, მესამე პრემია – ელენე დარჯანია.



- **2010 - წლის 15 აპრილს** სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვესტიბიულში დიუმას ცენტრის თაოსნობით გაიხსნა საინტერესო გამოფენა, რომელითაც თანამედროვე ფრანგი არქიტექტორები წარსდგნენ დამთვალიერებელთა წინაშე. გამოფენის გახსნაზე, რომლის თემა თანამედროვე განაშენიანებაში ძველი და ახალი არქიტექტურის დიალოგი გახლდათ, საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ფაკულტეტის თანამშრომლები ბატონები შოთა და დათო ბოსტანაშვილები.

- **2010 - წლის 12 აპრილს** ჩვენს ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ იტალიის ქალაქ ვენეციის არქიტექტურის და ურბანისტიკის უნივერსიტეტის (IUAV) პროფესორები ფაბიო დანანო, ანდრეს ჰოლგუინი და ქალბატონი დორიანა პავანი. მათი სტუმრობის მიზანი გახლდათ სტუ–ს არქიტექტურის , ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტსა და მათ უმაღლეს არქიტექტურულ სასწავლებელს შორის მემორანდუმის მომზადება, რაც მომავალში ჩვენს პროფესორებსა და სტუდენტებს იტალიელ კოლეგებთან ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის საშუალებას მისცემს.

- **2010 - წლის 23 მარტს** არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების მოწვევით ჩვენთან სტუმრად

იმყოფებოდა ახალგაზრდა, თუმცა უკვე აღიარებული და პოპულარული დიზაინერი ზვიად ციკოლია. შეხვედრა ჩატარდა მალტიმედიური პროექტირების ლაბორატორიაში, უშუალო, გულთბილი, მეგობრული ურთირთობის ატმოსფეროში. სტუმარსა და მასპინძლებს წინასწარ არ ჰქონიათ დაგეგმილი რაიმე კონკრეტული ლექციის ჩატარება, ან რომელიმე თემის განხილვა. მხოლოდ ურთიერთგაცნობის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს განსაკუთრებით აინტერესებდათ, ბატონი ზვიადის პირადი ხედვა, თუ რამ განაპირობა მისი წარმატება

საერთაშორისო ასპარეზზე. ორიგინალური ინტერპრეტაციების მოყვარული სტუმრის პასუხები, ცხადია სტანდარტული არ იქნებოდა, მისი შინაურულად გულწრფელი რჩევები აქცენტირებული იყო წარმატების მაძიებლის მიერ პირველ რიგში საკუთარი ქვეცნობიერი ინდივიდუალურობის ძიებასა და წარმოჩენაზე. განზოგადოებული პრინციპების გარდა საუბარი კონკრეტულ პროფესიულ თემებსაც შეეხო, იმსჯელეს ზოგიერთი სტუდენტის ნამუშევრებზეც. სამსაათიანი ძალდაუტანებელი შეხვედრის შემდეგ სტუდენტებმა მადლიერებით გააცილეს კეთილმოსურნე სტუმარი.

- **2010 - წლის 9 მარტს** არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტთა პირველი სემესტრის საუკეთესო საკურსო არქიტექტურული პროექტების დათვალიერება კონკურსი.

ღონისძიება გახსნა ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გ.მიქიაშვილმა. პროფესორ მასწავლებლებმა და ადმინისტრაციამ მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნამუშევრებს.

დასახელდნენ გამარჯვებულები,
ბაკალავრიატში:
პირველი კურსი – გიორგი დავაძე; მეორე კურსი – მიხეილ მოზაიძე; მეოთხე კურსი – ბექა ხუციშვილი და თამარ ცანავა; (გამოფენაში მონაწილეობა ვერ მიიღეს მესამე კურსის ბაკალავრებმა).
მაგისტრატურაში:
პირველი კურსი – ლევან მათიაშვილი; მეორე კურსი – გერვასი ჩაჩუა; გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

- **“SKIA” 2010 წლის 22-დან 28 თებერვლამდე** ბაკურიანმა არქიტექტორ მოთხილამურეთა 33-ე შეხვედრა – სემინარს უმასპინძლა. შეხვედრის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი – სკია და ჟურნალი “სტილი”. >>>>>>>>>>>>>>>>>

2010 2 25

2010 2 28

N

- **2010 - წლის 14–19 თებერვალს** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუმრად იმყოფებოდნენ პრაღის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი, ცნობილი ჩეხი არქიტექტორი იან ბიჩანი და მისი ასისტენტი იაკუბ კონატა. მათი ჩამოსვლის მიზანი გახლდათ მომავალი სემესტრიის განმავლობაში ქართველი სტუდენტებისაათვის არქიტექტურულ სწავლებაში ევროპული გამოცდილების გაზიარება. გრანტი, რომელიც ჩეხეთის სახელმწიფომ გამოყო ითვალისწინებს 15–20 ქართველი სტუდენტის ევროპული სტანდარტებით მომზადებას. სემესტრის ბოლოს თბილისში მოეწყობა ჩეხი არქიტექტორების ხელმძღვანელობით შესრულებული ქართველი სტუდენტების არქიტექტურული ნამუშევრების პრეზენტაცია, ხოლო სექტემბერში დაგეგმილია საუკეთესო ნამუშევრების ავტორების პრაღის არქიტექტურულ სკოლაში მივლინება და შესაბამისი კატალოგის გამოცემა.

- **2010 - წლის 17 თებერვალს** სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი პოლონელი არქიტექტორი იეჟი უშჩინოვიჩი, რომელმაც წაიკითხა უაღრესად საინტერესო ლექცია თანამედროვე საკრალური არქიტექტურის შესახებ. ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია, სალექციო დარბაზი დასწრების მსურველებს ვერ იტევდა.